საქართველო
GEORGIA

სოფლის მეურნეობის
სამინისტრო
MINISTRY OF
AGRICULTURE
№ 314
„08" 01 2014

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის

მომხმარებელთა დაცვის პროგრამის ხელმძღვანელს ლია თოდუას

ქალბატონო ლია,

თქვენი 2013 წლის 8 ივლისის #01/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის მომზადებისათვის სამუშაო ჯგუფი შეიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 16 დეკემბრის N 2-288 ბრძანების საფუძველზე.

სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა შედგა 2013 წლის 19 დეკემბერს. შეხვედრაზე სამუშაო ჯგუფის წევრებზე გადანაწილდა დავალებები, რძისა და რძის პროდუქტების შესახებ შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის, ევროკავშირის ქვეყნების მარკეტინგული სტანდარტების, სხვა ქვეყნების მარეგულირებელი დოკუმენტების, Codex Allimentarius–ის კომისიის სტანდარტების ტექსტების და რძის წარმოებაში ნებადართული საკვებდანამატების მოძიების თაობაზე.

2013 წლის 23-27 დეკემბერს სამუშაო ჯგუფის ცალკეულ წევრებთან მიმდინარეობდა შეხვედრები.

ტექნიკური რეგლამენტის პროექტის შემუშავების პროცესში, სამუშაო ჯგუფის წევრები კონსულტაციებს გაივლიან შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან და მეცნიერებთან.

დანართის სახით გიგზავნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 16 დეკემბრის N 2-288 ბრძანების ასლს. (დანართი 3 გვერდი)

პატივისცემით,

დავით ტყემალაძე

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება

№ 2-288 16 ივლისი 2013 ქ. თბილისი

„რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 დეკემბრის N485 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „რ" ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას რძისა და რძის ნაწარმის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან ლაფერაშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის დროებით

	მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
თენგიზ კალანდაძე	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ჯახა სოხაძე	- სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
დეშნა ხელაია	- სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
გიორგი მიქაძე	- სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის/ცხოველის საკვების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
ანა გემაზაშვილი	- სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
მაია ბერუაშვილი	- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის სურსათის უვნებლობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
დავით ჯაიანი	- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიული და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის

ნათია ლაპიაშვილი	სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურიდიული და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის კანონშემოქმედებითი სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

2. სამუშაო ჯგუფში, საჭიროებისამებრ, მოწვეულ იქნენ დარგის სპეციალისტები.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შალვა ფიფია